

# შინაური საქმეები

№ 30.

ოთხშაბათი, ოქტომბერი 27, 1910 წ.

ცალკე ნომერი ღირს 5 კაპიკათ.

აღრესი: ქუთაისი „შინაური საქმეების“  
რედაქცია.

უფელკვირული გაზეთი.

შინაური 1, საჭიროა თუ არა კაცისათვის რელიგია? — მღ. ლსა 2, შეცთომები — ტ. ჯა-  
ფარიძისა. 3, ყ-დ. სამღვდელთა ლეონიძეს მოგზაურობა გურიაში — №. 4, პასუხად დეკ.  
ლამბაშიძეს — რედ. 5, წაღმა-უკუღმა, მოთხრობა — კ. წუთისოფლელისა. 6, არ შეშვენის მოწა-  
ფეებს! — დ. ლოლობერიძისა.

## რედაქციისაგან

ვისაც ამ წლის მეორე ნახევრის გაზეთის ფასი არ შემოუტანია, უნდა გამოგზავ-  
ნოს ერთი მანეთი უამისოთ გაზეთი არ გაეგზავნება. ხოლო ვისაც მეტი აქვს შე-  
მოტანილი, მომავალი წლის გაზეთის ფასში ჩათვლება.

უფელკვირულ გაზეთ

„შინაური  
საქმეები“

ხელის მოწერა მიიღება რედაქცი-  
აში, ქ. ქუთაისში (საბურთალო — ძა-  
ზაკოვის შესახვევში № 17) და თფი-  
ლისში გამომცემელთან სომხის ბა-  
ზარში, სიმონიანცის შუშის მაღა-  
ზიაში.

წლიური ფასი 4 მან. ნახ. წლით 2 მ.  
და 50 კ.

გაბეითი ღებულობს დასაბუჯდად  
ყოველგვარ განცხადებებს.

## საჭიროა თუ არა კაცისათ- ვის რელიგია?

გაგრძელება<sup>1)</sup>.

საჭიროა კაცმა იცოდეს ღმერთი, უყ-  
ვარდეს იგი და თაყვანისცემდეს მას. მიზანი  
რელიგიისა არის ის, რომ აიძულოს კაცი  
ღვთის ცნობისადმი, მის სიყვარულისა და თა-  
ყვანისცემისადმი. მაშასადამე, კაცი სცნობს  
ღმერთს ორი სახით: გარემორტყმული ბუ-  
ნების საშუალებით და უსაშუალოდ, თავის-  
თავად. განხილვა ღვთისაგან გაჩენილი ქვეყ-  
ნიერებისა, გულისა და გონების ამაღლება ხი-  
ლული ქვეყნისაგან მის თავდაპირველ მიზეზი-  
სადმი, სიყვარული და თაყვანისცემა ქვეყნის  
გამჩენის მიმართ და მოწიწება მის წინაშე, —  
აი რა შეადგენს ბუნებითი რელიგიას. ამ ურ-  
თიერთობას ჩვენის სულისას ღმერთთან ჰქვია

<sup>1)</sup> იხ. „შინ.“ საქ. № 29.





ბუნებითი იმიტომ, რომ ასეთი ურთიერთობა შეიძლება ვიქონიოთ მხოლოდ ჩვენის გარეგანი ბუნების საშუალებით.

მაგრამ ამასთან ჩვენ მოწოდებულნი ვართ ვიცნოთ ღმერთი არა მხოლოდ ისე, როგორც ვეცნობებით მხატვრის პიროვნებას მხოლოდ მისი ნაწარმოების და ნიქის საშუალებით; ჩვენ მოწოდებულნი ვართ გვიყვარდეს ღმერთი არა მხოლოდ გარეგანი სიკეთებისათვის, რომელთა მიზეზიც იგი არის, — არამედ ჩვენ უნდა გვიყვარდეს იგი მისი შინაგანი სიდიდისა, სიმშვენიერისა და სიწმიდისა გამო, ჩვენ მოწოდებულნი ვართ ვიცნოთ ღმერთი მისი შინაგანი არსებით. ჩვენმა შემოქმედმა ინება, რომ ჩვენ ვიქონიოთ განწყობილება მასთან, როგორც შეილებმა მამასთან, — და იგი ჩამოვიდა ჩვენთან და გამოგვეცხადა ხილულად. ასეთი ურთიერთობა ღმერთთან, ასეთი საშუალებანი მისი ცნობისათვის შეადგენენ ზესთაბუნებითი რელიგიას. იმას ჰქვია ესე იმიტომ, რომ აღემატება მთლად შექმნილი ბუნების ძალას და მისწრაფებას, მართლაცა და, განა ქმნილებას, მომაკვდავს და განსაზღვრულს, შეეძლო თავის თავად, უშემწევნოდ ღვთისა, მისწრაფება განუსაზღვრელი მიზნისაკენ?

ამნაირათ, ბუნებითი რელიგია წარმოდგება ჩვენის გონიერულის, მაგრამ მასთან განსაზღვრულის, ბუნებისაგან. ზესთაბუნებითი რელიგიას-კი აქვს უდიდესი მნიშვნელობა: იგი შეიცავს ბუნებითი რელიგიას, იგი ჰქმნის მას თანდათან სრულად. ზესთაბუნებითი რელიგია არის უმაღლესი ღვთის წყალობა: იგი ზიარ-ჰყოფს კაცს ღვთიურ ცხოვრებასთან.

\* \* \*

რელიგია არის ცხოველი ურთიერთობა ღვთისა და კაცის შორის. ეს კანონია ბუნებისა; ეს უძლეველი მისწრაფებაა ადამიანისა-ტუილად სცილობდა წარმართობა შეეშუსრა ქრისტიანობრივი კულტა, რომელიც უარ-ჰყოფს და ჰკიცხავს ყოველივე ბიწიერ მიდრეკილებას. თვით წარმართების კულტს ჰქონდა აუარებელი რიცხვი ღმერთებისა, ეს იმიტომ, რომ კაცი გრძნობს აუცილებელ საჭიროებას ღმერთში. იმის ასახსნელად, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს რელიგიას, და იმი-და ამტკიცებლად თუ რა უძლეური არიან სოფიზმები, რელიგიის წინააღმდეგ მიმართულნი, —

ჩვენ ვეცდებით ვაჩვენოთ, რომ რელიგია აუცილებელივ საჭიროა კაცისათვის და საზოგადოებისათვის, და რომ იმას უნდა ჰქონდეს ბუნებითი და ზესთაბუნებითი ხასიათი.

I.

**ყოველთვის ხალხი დარწმუნებული იყო, რომ რელიგია აუცილებელივ საჭიროა კაცისათვის.**

ყველა ხალხებს აქვთ ისეთი მონუმენტები და დაწესებულებანი, რომლებიც ამტკიცებენ კაცის ბუნების ასეთ, თუ ისეთ, უძლეველ მისწრაფებას. როდესაც ჩვენ ვხედავთ, რომ კაცობრიობის ისტორიის ყოველ ხანაში და ყველგან ჰყვოდა მიწის მუშაობა, — განა ამითი ჩვენ არა გვაქვს უფლება დასკვნა გამოვიყვანოთ, რომ კაცი ყოველთვის და ყველგან საჭიროებს პურსა და მიწის სხვა ნაწარმოებს?! განა საზოგადოებრივი ბაზრები, შკოლები, სასამართლოები არ გვიამტკიცებენ, რომ კაცისათვის საჭირონი არიან ვაჭრობა-მრეწველობა; გონებრივი კულტურა, იურიდიული უფლება? ესევე უნდა ითქვას რელიგიის შესახებაც. თუ რომ ყველა ხალხებს, როგორც განათლებულებს, ისე გაუნათლებლებსაც, მცხოვრებლებს, როგორც დიდ კულტურულ ქალაქებში, აგრეთვე მივარდნილ და ბნელ სოფლებშიაც, მცხოვრებლებს მიყრუებულ კუნძულებზე, ერთი სიტყვით, ყველგან, სადაც-კი შეუძლიან მგზავრს მისვლა, არიან აშენებული ტაძრები, ან დანიშნული ადგილები, სადაც ყველა ხალხი იკრიბება ღვთაების თაყვანისა-ცემლად და მსხვერპლის შესაწირად, — განა მაშ ეს მოვლენა არ ამტკიცებს, რომ თაყვანისცემა ღვთისა არის აუცილებელი პირობა კაცის ცხოვრებისა?! წინათ ჰფიქრობდნენ, რომ ვითომ ზოგიერთა ველურ ხალხებს, მაგალითად. კაფრებს და გოტტენტოტებს არ ჰქონდათ წარმოდგენა ღმერთზე და საიქიო ცხოვრებაზე. გარნა, ამ ხალხების უშიშარი გამომკვლევარი ლევიგსტონი ამბობს: „მართალია, ძალიან უკან დარჩენილები არიან ეს ხალხები, მაგრამ ისინი არ საჭიროებენ ღვთის არსებობის და საიქიო ცხოვრების გაცნობას, რადგანაც ეს ორი ჰეშმარიტება მათთვის, და საზოგადოდ მთლად აფრიკაში, ნაცნობები არიან: რაც უფრო ჩრდილოეთით მიდიხარ, ხალხებში უფრო ადვილი შესაძენვეი ხდება რელიგიოზური იდეები.“



ამნაირათ, რელიგიოზური რწმენა და მის-  
წრაფება ყველა ხალხის საუკუნო თვისებაა.  
ეს გარემოება გვაჩვენებს რომ რელიგია შე-  
ადგენს ქვეყნის და კანონიერ მოთხოვნი-  
ლებას კაცის ბუნებისა.

მართალია, სარწმუნოებასთან და რელი-  
გიასთან ერთად არსებობს ურწმუნოებაც,  
მაგრამ იგი გაჩნდა ადამიანის ზნეობის დაცე-  
მის ხანაში, როგორც არა-ნორმალური და  
ბუნების-საწინააღმდეგო მოვლენა, და იგი  
არასოდეს არ ყოფილა საზოგადო მოვლენად  
რომელიმე ხალხში და არასოდეს არ შეადგენ-  
და მის ეროვნულ სიამაყეს. „თქვენ იბოვნიოთ,  
—ამბობს პლუტარხი, — ქალაქებს, რომ კედ-  
ლების გაღწევიანი არ ჰქონდეს. არ ჰქონდეს  
არც ლიტერატურა, არ ჰყავდეს შეფე, არ  
ჰქონდეს სახლები, არც ფული; არ იცოდნენ  
რა არის თეატრი, გიმნაზია, — მაგრამ თქვენ  
ვერ ნახავთ ისეთ ქალაქს, რომელიც უღვთოდ  
იყვეს, რომელმაც არ იცოდეს ფიცი, ლოც-  
ვა, ან მსხვერპლის — შეწირვა; ქალაქს უნია-  
დაგოდ ყოფნა უფრო შეუძლიან, მინამ ურე-  
ლიგიოდ დარჩენა.“

აქედან ჩვენ დასკვნას გამოგვყავს რომ  
ადამიანი თავის ბუნებითვე რელიგიოზურია,  
რომ იგი საჭიროებს ღმერთს ისე, როგორც  
პურს; რომ ურწმუნოება არის მხოლოდ გა-  
მონაკლისი მოვლენა, რომლითაც კაცი, სამ-  
წუხაროდ ბორკილმოქმედობს თავისი თავისუ-  
ფლებით. ურელიგიოდ კაცს არ შეუძლიან  
ყოფნა, თუმცა კაცის ცოდვითი მიდრეკი-  
ლებანი მიდიან მის წინააღმდეგ.

**აუცილებლობა რელიგიისა კაცისათ-  
ვის გამომდინარეობს თვით შეხედულობის-  
აგან ღმერთზე — როგორც ქვეყნიერების  
გამჩენზე.**

ათეიზმს რომ გონივრული საფუძველი  
ჰქონოდა, მთლად ქვეყნიერება რომ მართლა-  
ცა და ყოფილიყო შედეგი ნივთიერების შემ-  
თხვევითი კომბინაციისა, მაშინ, რა თქმა უნ-  
და, რელიგია საჭირო აღარ იქნებოდა. გარნა,  
თუ რომ ღმერთი არსებობს, ქვეყნისა და ჩე-  
ნი შემოქმედი, მაშ არ უნდა ვცეთ იმას თა-  
ყვანი? თუ არსებობს ღმერთი, რომელიც და-  
უცხრომელად განაგებს ჩვენს ცხოვრებას, გა-  
ნა მადლობას არ უნდა ვუცხადებდეთ მას?  
თუ არსებობს უმაღლესი კანონმდებელი,  
რომელიც ჩვენის სინდისის ხმით გვაჩვენებს  
ჩვენ კეთილს და გვაშორებს ჩვენ ბოროტს,  
განა არ უნდა ვემორჩილებოდეთ მის კანონ-  
ებს? თუ არსებობს უმაღლესი მსაჯული, რო-  
მელიც გავასამართლებს ჩვენ საიქიო ცხოვ-  
რებაში, კეთილისთვის მისცემს ნეტარებას,  
ხოლო ცოდვებისთვის — სასჯელს, მაშ არ მო-  
ითხოვს კეთილგონიერობა, რომ კეთილად  
მომზადებულები წარვდგეთ მის სამსჯავროს  
წინაშე? გონება ჩვენ გვეუბნება, რომ კაცი  
იმყოფება მუდმივ დამოკიდებულობაში შე-  
მოქმედისაგან, რომ კაცმა უნდა აღიაროს ეს  
დამოკიდებულება და მოღრკეს წინაშე უზე-  
ნავის არსების გონებისა გონებით, გულით,  
ნებით და საზოგადოდ მთელის თავის არ-  
სებით.

ამასთან, რელიგია არ უნდა ჩაითვალოს  
ილლიუზიად. ილლიუზიას შეუძლიან შეიპ-  
ყროს მხოლოდ კერძო პირები. ძნელი წარმო-  
სადგენია, რომ ილლიუზიის გავლენის ქვეშ  
იყვეს ერთი რომელიმე ხალხი, მაგრამ სრუ-  
ლიად შეუძლებელია იმის წარმოდგენა, რომ  
ილლიუზიით ხელმძღვანელობდეს მთელი კა-  
ცობრიობა მთელ ქვეყანაზე და ისიც ყველა  
დროში. ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ილ-  
ლიუზიას არასოდეს არა აქვს რეალური მნიშ-  
ვნელობა. მაგრამ რელიგიას-კი ყოველთვის  
და ყველა ქვეყნებში აქვს დიდი რეალური  
გავლენა. კაცი, რელიგიის გავლენის ქვეშ,  
გრძნობს, რომ იმას აქვს სასიხარულო შეხე-  
დულება ქვეყანაზე და ცხოვრებაზე; სიხარუ-  
ლის იმედით იგი შეჰყურებს საიქიო საუკუნო  
ცხოვრებას, — და ამ შეხედულობის თანხმად  
მიდის მისი ყოფა-ქცევაც ცხოვრებაში. ხოლო  
უარყოფა რელიგიისა აგდებს კაცს მწუხარება-  
ში, სასოწარკვეთილებაში და ხშირადაც თა-  
ვის-მკვლელობაში; მთელ მის მოქმედებას  
ცხოვრებაში აზის ბნელით მოკუთვი ბეჭედი.  
ასეთი საერთო და რეალური მნიშვნელობა  
რელიგიისა გვაჩვენებს, რომ იგი ისეთი თვი-  
სებითია კაცისათვის, რომ იგი მის მეორე ბუ-  
ნებას შეადგენს.

კაცი მოვალეა ჰმადლობდეს ღმერთსა,  
თავის კეთილის მოქმედსა და აღიდებდეს მას,  
ამის წინააღმდეგ ზოგიერთი ამბობს, რომ  
ღმერთი თავის-თავად განუსაზღვრელად ნე-  
ტარია, რომ თაყვანისცემა ქმნილებისა მისდა-  
მი არაფერს მიუმატებს მის ნეტარებას, რომ  
გმობა მისი არაფერს დააკლებს მის ღიდებას.  
ეს მართალია, — მაგრამ მართალია ისიც, რომ  
ღმერთს არ უთქვამს უარი იმ თვისებაზე, რო-  
მელიც მხოლოდ იმას ეკუთვნის. ის იყო ერთი,  
როდესაც გააჩინა ყველაფერი, და ყვე-

კაცი მოვალეა ჰმადლობდეს ღმერთსა,  
თავის კეთილის მოქმედსა და აღიდებდეს მას,  
ამის წინააღმდეგ ზოგიერთი ამბობს, რომ  
ღმერთი თავის-თავად განუსაზღვრელად ნე-  
ტარია, რომ თაყვანისცემა ქმნილებისა მისდა-  
მი არაფერს მიუმატებს მის ნეტარებას, რომ  
გმობა მისი არაფერს დააკლებს მის ღიდებას.  
ეს მართალია, — მაგრამ მართალია ისიც, რომ  
ღმერთს არ უთქვამს უარი იმ თვისებაზე, რო-  
მელიც მხოლოდ იმას ეკუთვნის. ის იყო ერთი,  
როდესაც გააჩინა ყველაფერი, და ყვე-



ლამ მიიღო არსებობა იმისაგან. ყველაფერი, ამნაირათ, დამორსილებულია შემოქმედისადმი, და თვითეულმა ქმნილებამ თავისი დამოკიდებულება ღმერთთან უნდა გამოჰხატოს თანახმად თავის ბუნების საშუალებებისა; სახელდობრ: უგონო არსებებმა უნდა გამოჰხატონ დამოკიდებულება შემოქმედთან ინსტინქტიურათ; ხოლო გონიერი და თავისუფალი არსებები მოწოდებულნი არიან ემსახურონ ღმერთსა თავისუფლად გონებისა და სიყვარულის საშუალებით. **ვიცნოთ ღმერთი, გვიყვარდეს იგი, ვემსახურობოდეთ** მას, ყველას ის გვიჩვენოდეს,—აი კულტი, რომელიც უნდა მივაგოთ მას,—აი დანიშნულება ადამიანისა.

ამნაირათ, ციცერონმა სწორედ განსაზღვრა რელიგია, როდესაც სთქვა: „*pietas est enim iustitia erga deum*“—კეთილმსახურება არის ვალი ღვთის შესახებ. აქედგან, თუ პატიოსნება და კეთილ-სინდისიანობა ვალდებულია კაცი დაიცვას ყველას შესახებ —მაშ განა პატიოსანი შეიძლება დაუძახოთ იმ კაცს, რომელიც უარყოფს ყოველივე რელიგიას, რომელიც ღვთის შესახებ გულგრილობას იჩენს, რომელსაც არა სწამს არც ეკლესია, არც არავითარი ვალდებულება ღვთის შესახებ, შეურაცყოფს ყოველივე იმას, რაც ეკუთვნის რელიგიას, და დასცინის იმას, რასაც უნდა თავყვანს სცემდეს?! დაე, კიდევ, რომელსაც ცოტა პატიოსნება შეჩვენია გაიხსენოს სიტყვები რასინისა, რომლითაც იმან მიმართა თავის შვილს: „შე იმედი მაქვს, რომ, გაძლევერა ყოველივე იმას, რაც კეთილ, პატიოსან კაცად გამოგიყვანს, შენ მიხვდები, რომ კეთილად გახდომა არ შეიძლება, თუ ღმერთს თავისი ვალდებულება არ შეუსრულე“.

**მღვდ. იოანე ლუკიანოვი.**

(შემდეგი იქნება).



**უბათოაეგი.**

დასასრული<sup>1)</sup>.

მოძრაობის დროს ძლიერ იკიცხებოდა ჩვენი სამღვდლოება, როგორც კერძო ქაღალეებში ისე ბეჭედილი სიტყვაში და იმ დროს

1) იხ. შინ. საქ. № 20.

გამოცემულ წიგნაკებში. ერთათ რომ ავიკინძოთ ყველაფერი, რაც კი ითქვა და დაიწერა სამღვდლოების წინააღმდეგ, დავინახავთ, რომ სულ ერთი და იგივეა ათასნაირათ გადაღეპილი და რაღაც ზაზლის კილოთი (ხშირბთ უზრდელათაც) გამოთქმული. დედა აზრი ამ ბრალდებისა ისაა, რომ სამღვდლო პირები ქვეყნიური ინტერესებით გატაცებული არიან, ზნეობაზე არ ზრუნავენ, ცუდი ყოფაქცევისა არიან, ხალხის ნაშოკარით და ნაოფლარით იკვებებიან, სუქდებიან, მთავრობის სურვილებს ემსახურებიან და ხალხის განათლებას და უფლებათა გაფართოვებას წინ ეღობებიანო. ესე იგი აბრალედენ იმას, რაც შეიძლება დავებრალოთ, თუ კი ეს ბრალდება იქნება, სახემწიფოში მოსამსახურე პირთა <sup>89/100</sup> ნაწილს.

ასეთი მხილება სამღვდლოების შესახებ იყო; სამართლიანი იყო მხოლოდ რამდენიმე შენიშვნა სამღვდლო პირების ზნეობის შესახებ, მაგრამ ესეც კერძო შემთხვევებში და არა საერთოთ. მაგრამ უმთავრესი შეცდომა მოძრაობისა ამ მხილებაში არ არის. მხილება შესაძლებელია, მხოლოდ მას მიზნათ გასწორება და გაუმჯობესობა უნდა ჰქონდეს და არა მოსპობა და მოსრესა. უფარგისი ელემენტი საზოგადოებისა უნდა გასწორდეს და ამ გასწორებას საზოგადო ძალები ახმარს ძალღონეს რამოდენიმე საუკუნეების განმავლობაში, ჩვენმა ახალგაზდობამ კი გასწორების მიზანი უკუაგდო და პირდაპირ უკიდურეს ზომას მიმართა და ყველა ნაკლოვანების მქონე ელემენტებს სიკვდილით მოსპობა გადაუწყვიტა. ამგვართ სამღვდლოების წინაშე მოძრაობამ ადამიანური მოვალეობა დაარღვია.

მეორე შეცდომა მოძრაობისა ის იყო, რომ მეთაურებს კარგათ ვერ შეეგნოთ თუ რა არის სარწმუნოება, ეკლესია და სამღვდლოება. ეს სამი ცნება სულ სხვადასხვაა და მათ კი ერთმანეთში აურიეს. აი რანაირათ.

სამღვდლოება არ ეარგაო და ამიტომ მოისპოს ისიც, მისი სამსახურიც, ის შენობები, სადაც იგინი მსახურებენ, და ის წიყუბი, რომელსაც იგინი ხმარობენ, მოისპოს ის ნიადაგი სადაც ეგ წოდება აღმოცენდაო. ამგვა-



რათ სამღვდლოებისადმი მიმართული ზიზღი გადაიტანეს ეკლესიაზე და თვით სარწმუნოებაზეც. აი აქ არის ის შეცდომა, რომელსაც ისტორია არ მიუტყევებს ცოტაოდნათ შეგნებულს პირს. თუ სამღვდლოება არ ვარგა და ნათლათ ვერ ასრულებს თავის წმიდა მოვალეობას, ეს იმას არა ნიშნავს, რომ ეკლესია, სადაც იგი მსახურებს არ ვარგა; მით უმეტეს თუ ეკლესია ქვეყნიურათ მოწყობილი ვერ აკმაყოფილებს ნამდვილ ქეშმარიტ მცნებას მაცხოვრისას ეს იმას არა ნიშნავს, რომ თვით სარწმუნოება არ უნდა იყოს. ავიღოთ მაგალითები ჩვენი ცხოვრებიდან: ექიმი რომ ცუდი კაცი იყოს და თავილი ხელობა კარგათ არ ემოდეს, განა იმის გამო ექიმობა უნდა უარყვოთ? სამოქალაქო ისტორიის მისწავლებელი რომ არ ვარგა იყოს და მავნებელი პირი იყოს კერძო ცხოვრებაში და სამსახურით, განა თვით საგანი სამოქალაქო ისტორია უნდა უარყვოთ და შევიძულოთ? ეს რა წარმოსადგენია! სამღვდლოების წვერთა უვარგისობის შესახებ ბევრი ითქვა და ითქმის და ბევრიც ნათქვამიდან სამართლიანია, აგრეთვე ეკლესიის ორგანიზაცია, როგორც კაცისვე მოქმედების შედეგი შესასწორებელია, მაგრამ აქ რა შუაშია თვით სარწმუნოება—ეს უწმინდესი გრძობა ადამიანისა? სამღვდლოება კიდევ, რომ დავარდეს და ბიწიერებით აივსოს, ან ეკლესიის ორგანიზაცია კანონიურ (каноническое) ნიადაგს გადასცდეს, განა ეს სარწმუნოების ბრალი იქნება და სარწმუნოება ამით მოიხშობა? სრულებითაც არა. სარწმუნოებას აქვს ფესო ადამიანის ბუნებაში და სანამდის ადამიანია და მას ის ორგანიზაცია აქვს, რომელსაც დღეს ვხედავთ, სარწმუნოება არ მოიხშობა. ვისაც სარწმუნოების მოსპობა უნდა. მან ჯერ ადამიანის ბუნებრივთ გადაქმნას უნდა მიჰყოს ხელი. მაგრამ არ ვიცი ამ მუშაობის რომელი გონიერი ადამიანი შეუდგება. სარწმუნოება ისეთივე არსებითი მოვლენაა ადამიანის ბუნებაში, როგორც გონება, ენა, გრძობა და სხვა.

საბრძოლველი იარაღიც შეუფერებელი ამოარჩია მოძრაობამ. სარწმუნოებას ფესო

ადამიანის შეგნებაში აქვს; ეკლესია არის აშენებული და მოწყობილი ადამიანის ბუნებრივ მოთხოვნილებაზე და სამღვდლოება, როგორც, აღმსრულებელი ძალა, ასრულებს ამ მოთხოვნილებას. ასე რომ ეკლესიაც და სამღვდლოებაც ორგანიული დაწესებულებაა და არაეითარი ფიზიკური ძალა არ გამოდგება მასთან საბრძოლველათ. ფიზიკური ძალით ადამიანის შეგნების და გრძობის დამორჩილება არ შეიძლება. სამღვდლოების განადგურება, მისთვის საზრდოს მოსპობა და ყოველი ამგვარი გარეგნული პოლიტიკური ზომები სარწმუნოებას ვერ მოსპობს; და თუ სარწმუნოება მოიხშო სამღვდლოება და ეკლესია მაშინ თავის თავათ მოიხშობა; მაგრამ სარწმუნოების მოსპობა ფიზიკურის საშუალებით ყოველად შეუძლებელია და, როგორც ქვევითაც ვიტყვით, ამას ისტორიაც ამტკიცებს. მოძრაობის მეთაურებმა დაივიწყეს ქეშმარიტი სიტყვები ებრაელთა ბრძენის გამალიილისა, ის სიტყვები, რომელიც დღესაც სახეში უნდა ჰქონდეს ხალხის წინამძღოლებს და დემოგოგებს. დღესაც თქო, მიტომ ვამბობთ, რომ ქეშმარიტება არც დროით, არც მთქმელის ეროვნებით და სწავლა-განათლებით არ გაიზომება. აი ეს ქეშმარიტი სიტყვები: როცა ქრისტიანობა ვრცელდებოდა პალესტინაში და მთელ რომის სამეფოში, იუდელების სინედრიონი ამ გარემოებაში შეაფიქრა ძლიერ და ერთხელ სხდომა გამართა იმ საკითხის გადასაწყვეტათ, თუ როგორ შეეჩერებიათ ქრისტიანობის გავრცელება და ქრისტიანობისთვის როგორ წაერთმიათ ხალხში ნიადაგი. უმეტესობა იმ აზრის იყო, რომ გავაძლიეროთ რეპრესიული ზომები და შევიპყროთ ქრისტიანობის მქადაგებლები, მაშინ გამალიილმა სთქვა, „რათ სწუხდებით ამ გარემოებითაო, თუ ქრისტიანობა ქეშმარიტებაა, იმას გარეგნული ბრძოლით და ვერაფერი საშუალებით ვერ მოერევიოთ და თუ იგი ყალბი მოძღვრებაა ის თავის თავათ მოიხშობა და ბრძოლა საჭირო არ არისო.“ ბრძნული აზრი გამალიილისა არ მიიღოს ინედრიონმა, მაგრამ ისტორიამ კი დაამტკიცა ამ სიტყვების სრული სიმართლე. გადავფიქროთ



თვალი ქრისტიანობის ისტორიას და მართლაც დაეინახავთ, რომ ფიზიკური ძალა აზრთან საბრძოლველათ არ ვარგა. სდევნეს ქრისტიანები მეფეებმა და ამა ქვეყნის ძლიერმა პირებმა, გამოიგონეს ათასგვარი საწვალებელი ზომები და უზღვევი სისხლი მორწმუნეთა დაანთხიეს, მაგრამ ამით ხალხი ისპობოდა და სარწმუნოება კი უფრო მტკიცდებოდა, ქრისტიანობა კი არ ქრებოდა, უფრო ვრცელდებოდა; ერთ მორწმუნეს რომ თავსა სჭრიდენ, მისი შემხედვარე ოცი და ორმოცი ურწმუნო ქრისტიანათ ხდებოდა. ასე რომ სისხლის ღვრა ქრისტიანეთა რიცხეს კი არ ამცირებდა, ამრავლებდა, მხოლოდ თავსი უაზრო მოქმედებით რომის მეფეები თავისი ხელით თავისვე საფლავს ითბრიდენ.

ასე თუ ისე ილანძვებოდა საქვეყნოთ ჩვენი სამღვდლოება, იკიცხებოდა ეკლესია და ითელებოდა დაუზოგავათ სარწმუნოება. მათ დასაცავად არავინ იაპარაკოდა, სდუმდა თვით სამღვდლოება და მართლაც უზომო მოთმინება გამოიჩინა სამღვდლოებამ. ნებით იყო თუ უნებურათ, სამღვდლოებამ აასრულა კი ქვეშაბრძენი თქმულება „რომელმა დაითმინოს ბოლომდე, იგი სცხონდესო“. არავინ იცავდა სამღვდლოებას და იყო საყოველთაო სიჩუმე, მაგრამ გამოვარკვიოთ როგორი ხასიათისა იყო ეს სიჩუმე? მართლა მით ხელმძღვანელობდა სამღვდლოება, რომ ვინც ბოლომდე დაითმინოს, ისა სცხონდესო? ეგებ არა ჰქონდა სამღვდლოებას გასამართლებელი საბუთები და სიჩუმე აირჩია? ეგებ მით ხელმძღვანელობდა: „ზოგჯერ თქმა სჯობს არა თქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდებისო“, და უარესი რომ არ დამართნოდნ სიჩუმე ირჩია? შეიძლება, რომ ყველა ამ მიზეზებს კერძო შემთხვევებში ჰქონდა ალაგი, მაგრამ უმთავრესი მიზეზი სიჩუმისა იყო **შიში**. თითონ იფიქრე, მკითხველო, ძნელია სიკვდილი, ცუდი სული უდის ბრაუნინგის ტყვიას შუბლისაკენ მომართულს, მეტადრე მაშინ, როცა იცი, რომ შენი სიცოცხლე არაფრათ არ ფასდება და სიკვდილიც უმნიშვნელოთ ჩაივლის. მართლაც იმ დროში არავინ თავს არ იმართ-

ლებდა და გარემოებაც ისეთი იყო, რომ სიტყვის თავისუფლება არ იყო და ნათქვამის ღირსება-ნაკლოვანება აღარ ირჩეოდა. საქმის გარჩევა დავიწყებული იყო და ხშირად განჩინება საქმის გარჩევამდე სრულდებოდა. ეს მეტი უსამართლობა იყო. ჩამოსახრჩობ და დასახვრეტ ტუსადს შეეკითხებინ სასამართლოში, სთქვი თუ რამე გსურს სათქმელათო და სამღვდლოებას კი ეს უფლებაც წაერთვა, ეს უფლება ადამიანური უფლებება და ეს ადამიანს ეკუთვნის თავისთავათ, როგორც ადამიანს ბუნებრივათ, ანუ როგორც ძველი რომის კანონმდებლობა ხმარობდა *Jus naturale*. ერთათ ერთი საშუალება იყო პრესსა, მაგრამ, უნდა სიმართლე ვსთქვა, ჩვენმა სამშობლო პრესსამ ვერ გამოიჩინა მიუდგომლობა, დაემორჩილა დროთა ვითარებას, ვერ დაიკვა უწმინდესი პრინციპი—სიტყვის თავისუფლება და არ გამოესარჩლა დევნულ მხარეს, მით უმეტეს, რომ მკითხველთა შეგნებისათვის საჭირო იყო საეგებით გამორკვეულიყო ეს საკითხი ნუ დაეციფწყებთ, რომ ზოგიერთ გაზეთებში დიდის რიხით იყო გამოაშკარავებული რაღაც ზნებბრივი ნაკლი რომელიმე სამღვდლო პირისა და კარგი მაგალითი კი არსად არ ხსენებულა. ასე წარმოიდგინე, მკითხველო, რომ მესამოცე წლების ძლევით მოსილი მებრძოლი ხალხის კეთილდღეობისათვის ნეტარხსენებული გაბრიელიც არ უბსენებიათ.

სად უნდა ემართლებია თავი სამღვდლოებას, სად უნდა გაეცა პასუხი ყველა ცილის წამებისთვის, სად უნდა გამოეთქვა თავის გულისთქმა? ჩვენმა სამღვდლოებამ მაშინ აშკარათ იგრძნო ბეჭვდიითი ორგანოს საჭიროება და აუცილებლობაც. სამღვდლოების კრებაზე საერთოთ აღიარეს, რომ, სხვა რომ არა იყოს რა, მარტო სიმართლის აღსადგენათ აუცილებელია ერთი ბეჭვდიითი ორგანოს ქონებაო. აი ამ ნიადაგზე აღმოცენდა სურვილი რამოდენიმე პირისა დაარსებულიყო ქუთაისში გაზეთი „ზინაური საქმეები“, რომელიც ეს ორი წელიწადია იბეჭვდება და რაედენათაც შესაძლებელია ვიწრო ნივთიერ პირობებში



მყოფი გაზეთისათვის აწვდის მკითხველს სხვადასხვა მასალას.

მოსალოდნელი იყო რომ სამღვდლოება დიდი სიამოვნებით შეხვდებოდა ამ გაზეთის გამოცემას მით უმეტეს რომ გაზეთი ცალმხრივი არ არის და შინაარსიც თანდათან გაუმჯობესდებოდა, როცა საზოგადო თანაგრძნობის შეოხებით ნივთიერათ გამაგრდებოდა; მაგრამ სამწუხაროთ დაივიწყა სამღვდლოებამ დღენი წარსულნი, დღენი მწარენი და ხელას მოწერითაც არ შეუწყო ხელი ამ გაზეთს იმერეთის ეპარხიაში 560 შტატია, 400 გურია სამეგრელოში და გაზეთი კი 500 არ საღდება. უნდა იმედი ვიქონიოთ, რომ მომავალში ეს მდგომარეობა შეიცვლება.

„ზინაური საქმეების“ გაჩენასთან დიდი კავშირი აქვს ქუთაისში სარწმუნოებრივ განმანათლებელი ძმობის დაარსებას. ვისაც უღვენებია თვალი „ზინაური საქმეებისათვის“ იმას წაკითხული ექნება ამ გაზეთში ძმობის წესდება და ადვილათ მიხვდება, რომ ძმობას წმინდა მიზანი აქვს. ძმობას სურს გაამაგროს ხალხში ქრისტიანული სარწმუნოება და მალალი ქეშმარიტი ზნეობა. ვინც დაკვირვებულია ცხოვრებაში და იცის მსოფლიო ისტორია, დაგვერწმუნება, რომ მალალი სარწმუნოება და მტკიცე ზნეობა უპირველესი პირობაა ადამიანის კეთილი მოქმედებისა და მთელი ერის და სახემწიფოს არსებობისა. სარწმუნოების დაცემა ზნეობასაც დასცემს და ზნეობის დაცემა კი ასუსტებს და დღითი დღე ამცირებს სახემწიფოს ძალას და ბოლოს სრულიად სპობს მას.

**ბ. ჯაფარიძე.**



**უღ სამღვდლო ლეონიდეს მოგზაურობა გურიაში.**

გაგრძელება<sup>1)</sup>

„მთელ ქართველებში დასავლეთი საქართველოს შვილები — ყოველთვის ცნო-

<sup>1)</sup> იხ. ზინ. საქ. № 28.

ბილნი ყოფილან თავიანთი ზრდილობით, სხვისადმი პატივისცემით და უმოლოეს ხარისხამდე თავაზიანად მოპყრობით.

მაგრამ ამ მხრივ თვით დასავლეთ საქართველოშიაც იყო განსხვავება: გურულები ყველას სჭარბობდნენ თავაზიანობით, ზრდილობით, სარწმუნოების ერთგულებით, გონიერი მოღბენით და სტუმართ მოყვარეობით. ეს მე ჩემს საკუთარ თავზე გამოვცადე; ჯერ ისევ ნოწაფე სასულიერო სემინარიისა, ვეწვიე საზაფხულოდ, აქ, გურიაში, ყოფილს თქვენს მღვდელმთავარ, ჩემს აღმზრდელს და მამის ბადალ ბიძას, ყ-დ სამღვდლო აღექსანდრეს. ყველგან, ვის ოჯახშიაც შემხვდა იმ ზაფხულს ყოფნა, ვხედავდი ჩემს გარეშეშეშე მასპინძელთა აღფრთოვანებულ სიყვარულს, გულწრფელ პატივისცემას და ყოველ გვარ მეცადინეობას, რომ, რაც შეიძლება, მეტი სიამოვნება მიმეღო. ზებირათ ვიცოდი საღმრთო წერილის სიტყვები: „გინათუ სჭამდეთ. გინათუ სმიდეთ, გინათუ რასაც იქმოდეთ, ყოველსავე სადიდებელად ღვთისა იქოდეთო“, მაგრამ შესრულება ამ სიტყვებისა არსად არ მენახა და მარტო გურიაში ვნახე. ლხინს, სმას, — ქამას — ყველას ღვთაებრივი სიო დაჰკრავდა, ყველაფერი აღბეჭდილი იყო სარწმუნოებრივი თვისებით, ყველა მოქმედებაში გურული იხატებოდა მორწმუნე ქრისტიანეთ.

ეხლა? ეხლა სულ საწინააღმდეგო ხმები გვესმის და საწინააღმდეგო ცნობებს ვკითხულობთ ქურონალ-გაზეთებში გურულების შესახებ. გურულებმა ღმერთი შეიძულეს, გურულები ქრისტეს გმობენ, გურულები ეკლესიებს ბღალავენ, აი რაგვარი ხმები ეფინება დღეს ყველგან გურულების შესახებ. უეჭველია, ეს ხმები ბევრ შემთხვევაში შემცდარი და გადამეტებული არიან, მაგრამ, სამწუხაროდ, ბევრ შემთხვევაში სრულს სიმართლეს აღიშნავენ.

მე გადამომცეს, რომ აქ, თქვენს ეკლესიაში, ადგილი ჰქონია ისეთ შეუწყნარებელ და კაცის — ღირსების დამამცირებელ ფაქტს, როგორც არის ქუდიოთ დგომა, პაპიროსის წევა, ვაი თქვენ შერცხვენას, ვაი თქვენ დაცემას და ზნეობა-გონებით განადგურებას!



ღიად, კდმა დასირცხვილი თქვენ, და არა იმ საბრალო პირს, რომელმაც უგუნურება ჩაიდინა. თუკი თქვენ ეკლესია სულით და გულით გყვარებოდით, თუკი თქვენ მუდამ შიშით და კრძალულებით იღვებოდით თქვენს სალოცავში, თუკი ყველას მამობრივი სიყვარული და განწყობილება გექნებოდათ თქვენს მოძღვართან, ვერა ძე ხორციელი ვერ გაბედავდა თქვენს საზოგადო ტაძარში შეურაცხყოფას და ცხელი ტყვიით მოძღვრის სასიკვდილოთ გამეტებას. კატა ხომ უგუნური არსებობს, მაგრამ იმასაც ვშინიან და ვრიდებ ვატრონისა—არაფერი არა წავახდინორა და არა წავიბილწორა ოჯახშიო. და ნუთუ ამ პირუტყვისოდენა შეგნება არა ჰქონდა იმ საბრალოსს, რომ ღვთის სახლს, თქვენს სალოცავს, თქვენი მამა-პაპის, ნათესავების და მეზობლების საუკუნე საფანეს აგინებდა, შეურაცყოფდა და მასხარად იღებდა პაპროსის წვევით? არა, ის ამ ზომამდე ვერასოდეს ვერ გაკანდიერდებოდა, წინდაწინ თქვენში რომ არ დაენახა მაგალითი ეკლესიის დამცირება—დამდაბლებისა, თქვენ რომ არ გესწავლებინათ მისთვის ეკლესიისა და ღვდლის არარად ჩაგდება და გაბიპრება.

იმ საცოდავმა წინდაწინ იცოდა—ჩემი საქციელი არავის ეწყინება, ჩემს საქციელს მრევლი პირად შეურაცხებად არ მიიღებსო და ამიტომ გაბედულათ ჩაიდინა ის, რასაც სხვა პირობებში უეჭველად მოერიდებოდა.

მართალია ღღეს უღთობამ ფეხი მოიკიდა ჩვენში, ბევრი გაიძახის სულ ტყუილი და მოგონილია ღმერთი, სარწმუნოება, ლოცვა, ეკლესია და ამისთანებო, მაგრამ განა ამისთანა ქადაგებას დაკვირვება, გამოკვლევა და გამოძიება არ ესაქიროება? განა ეს ასეთი უბრალო რამეა, რომ მარტო თქმა და გაგონების მეტი არა უნდა? არა, თქვენ უნდა დაუკვირდეთ, რა ცხოვრებისა, რა ნამუსისა და პატროსნების პატრონები არიან ისინი, ვინც უარსა ჰყოფენ ღმერთსა და სარწმუნოებას? გამოიკვლიეთ, გაიგეთ და შეიტყვეთ,—რა გაურიგებიათ ქვეყნის სასიკეთოთ, ვინ გაუბედნიერებიათ, ვინ აუშენებიათ, და გაუხარებიათ თქვენამდე

ურწმუნოების მქადაგებლებს თავიანთი მოძღვრებით და მოქმედებით. განა ეკლესიაში პაპროსის მოწვევის აკრძალვა კაცის თავისუფლების შეზღუდვაა?

ვის გაუგონია შეგნებულ ოჯახში პაპროსის წვევა დაიწყეთ უფროსისაგან ნებართვის გამოუთხოვენლად? თუ უბრალო ოჯახში ვალდებულვებად მიგვაჩნია ზრდილობიანობის დაცვა, რა უფლებით ვივიწყებთ ამ ზრდილობიანობას ღვთის სახლში, ჩვენს სალოცავში?

ნუ, ჩემო საყვარელო სულიერო შვილებო, ნუ შესცდებით, ნუ დაჰკარგავთ თქვენ ძველებურ სასიქადულო ზრდილობას, ღვთისნიერობას, ქრისტიანობის სიყვარულს-და ერთგულებას. ამან შეგინახათ, ამან შეგანარჩუნათ ღღევანდლამდე სახელი, ქონება, ენა და ჩვეულება და თუ ქრისტიანობა ხელიდგან გაუშვით, სულ ჩქარა კვამლივით გაქრება და გაიბნევა თქვენი ხსენება.

ღმერთსა ვთხოვ შეგინდოთ ყველას დანაშაული და აღარაფერი ღვთის საწინაღმდეგო აღარ გამეორებულეიყოს თქვენს მრევლში!

დაბლა ბახვის ეკლესია ქვისაა, მშვენივრათ არის გადაჭედილი თეთრი თუნუქით, საეკლესიო სამკაულები ყველა მიეპოვება, უსიამოვნო ჩაბეჭდილებას ახდენს მხოლოდ კანკელის ხატები თავის უვარგისობით და ეკლესიის შემოუზღუდავი უსუფთაო ეზო.

პირველ საათზედ მოვედით ზედა ბახვში. მისვლისათანავე ყველას ყურადღება მიიპყრო დიდებულმა ქვის ტაძარმა, რომლის გუმბათმა პირველსავე შეხედვაზე თვალწინ დამიყენა ცნობილი გაენათის წმ. გიორგის ტაძრის გუმბათი.

ეკლესია ძვირფასი ნივთებითაა შემკული. დამთვარიელებელს გულს უტეხავს მხოლოდ ის გარემოება, რომ ეს ნივთები ვერ არიან დაცულნი შესაფერი სისუფთავით და ეკლესიას ნაკლებად ეტყობა მზრუნველი ხელი შეგნებული მოძღვრისა.

ბახვი, როგორც ვიცით, სამშობლოა სულმნათი გაბრიელ იმერეთის ეპისკოპოსისა. მადლიერ შვილს, ნიშნად ზნეობრივი ვალის გადახდისა, აუშენებია თავის სამშობლო სოფელში ძვირფასი ტაძარი, დაუარსებია ორ კლასიანი ნორმალური



სასწავლებელი, გამოუყვანია დიდრონი არსებით ბახვის უნამყოფო მინდრების სარწყავათ რამდენიმე ვერსის მანძილიდამ მდინარე.

მისმა მეუღეებამ ჩვეულებისამებრ, აქაც აზრიანი სიტყვით მიმართა აუარებელ მსმენელს. „მოხარული ვარო, ბრძანა ყოვლად სამღვდელომ, რომ უფალმა მარგუნა ჩვენი ეკლესიის სიკადულის, დაუვიწყარი გაბრიელ ებისკოპოსის სამშობლო სოფლის ნახვა. ბახვის სახელი შეერთებულია ყდ სამღვდლო გაბრიელის სახელთან და ვისაც გაბრიელი უყვარს, იმისთვის ბახვიც საყვარელია, ვინც გაბრიელს აფასებს, იმისთვის ბახვიც უმკველათ ძვირფასია.

რითი მოიხვეჭა გაბრიელმა საზოგადო საყვარული და დიდებული კაცის სახელი? წრფელი და მტკიცე სარწმუნოებით, ქრისტიანული უმწიკლო ზნეობით და სარწმუნოებრივი ღრმა მეცნიერებით.

გაბრიელი გვიყვარს, გაბრიელს ვაქებთ და ვადიდებთ ყველანი იმიტომ, რომ იგი იყო ნამდვილი ქრისტიანი, იგი ყოველგან და ყოველთვის ჰქადაგებდა ქრისტიანობას.

გონებასაც ენასაც და კალამსაც გაბრიელი მუდამ ჟამს ამსახურებდა უმთავრესად სამწყსოში სახარების ნათლის მოფენას. ეს იყო გაბრიელის სულის მთავარი მოთხოვნილება, ეს მიაჩნდა მას შეგნებული კაცის უცილობელ ვალად, ქრისტიანობის შეთვისებაში ხედავდა იგი ერის განათლებისა ერის კეთილდღეობისა, ერის შეუჩრებელი წინსვლა-განვითარებისა და ქონება-ზნეობრივად გაძლიერების ერთად ერთ საიმედო წინდს. მთელ თავის ხანგრძლივ მოღვაწეობაში ყდ სამღვდლო გაბრიელს არა დაუწყრიარა და არა გაურიგებარა, რომ მიზნად არა ჰქონებოდეს ხალხში ქრისტიანობის შეგნების შეტანა და განმტკიცება. ყველაზე ნათლად და ცხოველად ეს ცხადდება აქ, თქვენს სოფელში.

ძვირფასი და დიდებული ტაძრის გვერდით ცხოვრებულს მოუთავსებია მოზარდი თაობისათვის სასწავლებელიც. და მას არც შენთხვევით და არც მოუფიქრებლობით მოსვლია ეს.

ისწავლეთ, განვითარდით, გათვით-

ცნობიერდით, განათლდით, გამეცნიერდით, მაგრამ იცოდეთ, რომ მართალი ცოდნა უსათუოთ უნდა იწვევდეს თქვენ, ში ღვთისნიერობას, სალი განვითარება უნდა გაახლოებდეთ ღმერთთან, სწორე მეცნიერება უნდა გასწავლიდეთ ქრისტეს საყვარულს და ნამდვილი თვით შეგნება უნდა გიკარნახებდეთ იმ მაღალი ზნეობის გზაზედ დგომას, რომელსაც ადგენენ ეკლესიაში დახატული წმ. გვამებო. აი რა უნდა გამოეხატა, რა უნდა გამოეთქვა დიდებულ გაბრიელს ამ ეკლესიისა და სასწავლებლის ერთი მეორესთან დაახლოებით, ერთი მეორესთან დაკავშირებით. დღეს სულ წინააღმდეგ აზრებს ავრცელებენ ჩვენში:

სარწმუნოება უვიცი და შეუგნებელი პირების კუთვნილებათ მიაჩნიათ, ქრისტიანობა მოძველდა და ჩვენ აღარ გვარგიაო, ქრისტიანული ზნეობა აღამიანსამახინჯებსო და სხვა.

ღმერთმა ნუ ქნას, რომ ამ უკეთურმა მოძღვრებამ სადმე ნიადაგი იპოვოს და ფეხი მოიკიდოს, მაგრამ, წარმოვიდგინოთ, რომ წინააღმდეგ ჩვენი სურვილისა, ურწმუნოება ყველგან გავრცელოდა, თქვენ, ბახველები, მაინც არ უნდა შესცდეთ, თქვენ არაფერ შენთხვევაში არ უნდა უღალატოთ ეკლესიას, თქვენ შეურყვეველ და დაურღვეველ ბურჯებად უნდა უდგეთ ქრისტიანობას, რადგანაც უხილავათ თავს დაგტრიალებთ და გმოდვრით ისეთი დიდებული პირი, როგორიც არის თქვენი სოფლის შვილი განსვენებული გაბრიელი.

ვინაა ჩვენში ურწმუნოების მქადაგებელთა შორის ისეთი, რომ განვითარებითა და შეგნებით დაედრებოდეს გაბრიელს?

თუ სარწმუნოება გონება ბნელი კაცების თვისებაა, რათ იყო ასეთი ღრმა მორწმუნე დიდათ განათლებული გონების პატრონი ყოვლად სამღვდლო გაბრიელი? ქრისტიანობა მოძველდა და ჩვენ აღარ გვარგიაო ქადაგებენ ურწმუნოები, მაგრამ რომელია მათ შორის ისეთი, რომ გაბრიელზე უკეთესად ესმოდეს მსოფლიო ისტორია ან ფილოსოფია და როგორ მოხდა, რომ სახელოვანმა ფილოსოფოსმა გაბრიელმა თავისი სიცოცხლე შეაღია—



ქრისტიანობის გავრცელების საქმეს? ქრისტიანობრივი ზნეობა ადამიანს ამხინჯებსო, ჰქადაგებენ ურწმუნოები, მაგრამ რომელია მათ შორის, რომ დაეტოვოს ზნეობით დიდებულ ქრისტიანს გაბრიელს?

არა, ქრისტიანობა ღვთიური ძალაა, ქრისტიანობა უკვდავი წყაროა ქვეყნარტებისა, ქრისტიანობა თვით სინათლეა და განათლებისა, მეცნიერებისა და განვითარების ნამდვილი მიმდევარი უსათუოდ ქრისტიანი უნდა იყოს.

გავახაროთ ამ უამად ჩვენთან უხილავად მყოფი გაბრიელის სული, გადავიხადოთ მისთვის პანაშვილი და ლოცვის დროს მივცით მას ყველამ მტკიცე სიტყვა, რომ მთელი თქვენი შეძლებით ემსახურებით ქრისტიანობას და გაბრიელის ანდერძი სამღრთო მცნებათ გექნებათ სიცოცხლის განმამავლობაში.“

ეკლესია და გალავანი საესე იყო ხალხით და ყველანი სასოებით ავედრებდნენ უფალს თავიანთი სოფლის დიდებულ შვილის სულს.

პანაშვილის შემდეგ მისმა მეუფებამ დაათვალიერა ადგილობრივი სასწავლებელი. სამწუხაროთ მოსწავლეები სამღრთო სჯულში ძალიან სუსტები აღმოჩნდნენ. მებუთე განყოფილებაში, რომელიც უმფროსი განყოფილებაა, ახალი-აღთქმით დამ ვერც ერთ კითხვაზე, ვერ მისცეს ჯეროვანი პასუხი.

მტკიცება არაა, ვგონებ, საჭირო, რომ ყოველად სამღვდლო გაბრიელის სახელზე და ხარჯზე არსებულ სასწავლებელში სამღრთო სჯულის სწავლება სამაგალითოთ უნდა იყოს დაყენებული.

№.

(შემდეგი იქნება).



**პასუხად მ. დეკ. დ. ლამბაშიძეს.**

მ. დავით ლამბაშიძის ორგანოს<sup>1)</sup> საცებით გადაუბეჭდია თავის ფურცლებზე ბ. ახელის წერილი ჩვენ წინააღმდეგ და თავის მკითხველებს(?) ეუბნება: საჭიროდ მიგვაჩნია ამ წერილის შინაარსი გავაცნოთ, რადგან ჩვენ

<sup>1)</sup> იხ. „მწყემსი“ № 18—14, 1910 წ.

სრულებით ვეთანხმებით ბ. ახელის აზრსაო. შემდეგ მ. დეკ. დასძენს: „... ყოველ სამღვდლოების კრებაზე მ. სიმონ მკვლელიც ბევრს ლაპარაკობდა ჟურნალის გამოცემის საქიროებაზე და ბევრს რამეს პირდებოდა (მაინც რას?) სამღვდლოებას ჟურნალით და წიგნაკების გავრცელებით. ჩვენ და ბევრ სამღვდლოებას არ გვჯეროდა მ. სიმონ მკვლელის დაპირება, რადგან იმას ჟურნალის და სამისიონერო წიგნაკების გამოცემით ჰქონდა სახეში თავის ნივთიერი მდგომარეობის გაუმჯობესობაო“

„მელას რაც აგონდებოდა, ის ესიზმებოდაო,“ ნათქვამია და სწორეთ ასე მოსდის მ. დეკ. ლამბაშიძეს: თავის დღე და მოსწრება იმის ზრუნვაში იყო, რომ სიმდიდრე შეეძინა და ამიტომ ყოველ მის მისწრაფებას ვაჭრული ხასიათი ჰქონდა. ეს მიზანი აქვს მის ცხოვრებას დღესაც, რაც აშკარად სჩანს უკანასკნელი შემთხვევიდგან მის ცხოვრებაში, რომელსაც იგი აგვიწერს თავის ორგანოს იმავე ნომერში და რომელსაც ფარცხავს ძველი ნივთების შექმნის სურვილით გარნა რომელიც ნამდვილად გამოწვეულია სიხარბით, რომ შუქთად ჩაეყარა ხელში აუარებელი სიმდიდრე და შემდეგ ერთი ასათ აენაზღაურებია. „კოკასა შიგან რაცა სდგას, იგივე წარმოსდინდებოა,“ სთქვა ჩვენმა უკვდავმა პოეტმა. ამიტომ სრულებით არ გვიკვირს მ. დეკანოზის პირიდგან ასეთი ლათაიები. ჩვენ არასოდეს არ აგვშლია გამდიდრების საღერლელი და არც ჩვენი ცხოვრების მიზნად მიგვაჩნია სიმდიდრე. კარგათაც გვესმის და არა ერთხელაც გამოგვითქვამს წერილობით, რომ ჩვენში ლიტერატურული მოღვაწეობით, რაშიდაც უნდა მდგომარეობდეს იგი, სიმდიდრეს ვერ შეიძენდა დაუშახურებელ პანდურსკი ბევრს იგეშებ. თუ ასე არ იყოს, იხილეთ, რომელი ჩვენი ქართველი ლიტერატორი გამდიდრდა თავის ნაწარმოებით. ჩვენში ლიტერატორობით თუ გამდიდრება შეიძლებოდა, პირველად ეს ბედი აკაკის უნდა ჰხვედროდა, მაგრამ ნახეთ, რომ შიმშილით გვიკვდება ჩვენი მსოფიანი პოეტი! და რომ (ღმერთმა დაიფაროს!) მოგვიკვდეს



გასასვენებელი ფულიც სამოწყალოთ ჩამოსაკრები შეგვექნება (გვაპატიოს საყვარელმა მგოსანმა, მაგრამ სიმართლედ, მწარედ სიმართლედ გვალაპარაკებს!). თუ მ. დეკანოზს ასეთ უსუსურ ბაღდათ მივაჩნივართ, რომ გაზეთის და წიგნაკების გამოცემით გამდიდრებას ვფიქრობთ, ძალიან შემცდარა, რაც არ ეკადრება მის ღირსიანობას. მაგრამ არც ამაშია საქმე. მ. დეკანოზს ჩვეულებით სჭირს უკბინოს ადამიანს და იმას კი აღარ ეძებს, სად უკბინოს, რბილზე თუ ძვალზე. ამიტომაცაა, რომ ხშირათ კბილებს ინტერესს უღალაგო ალაგას კბენით.

ჩვენ რომ ბევრს ვლაპარაკობდით ჟურნალის და წიგნაკების გამოცემის საქმიანობაზე და ვლაპარაკობთ და ვილაპარაკებთ კიდევ, ამაზე უარს არ ვამბობთ, მაგრამ ნუ დაივიწყებთ მ. დეკანოზი, რომ ამასთან ყოველთვის ესძენდით, რომ ამ საქმიანობის ხელი მოეკიდა თვით სამღვდლოებას ან სამღვდლოების რწმუნებულს, ან რომელიმე საზოგადოებას. სწორედ ამის მიზეზია, რომ დავაარსეთ იმერეთის სარწმუნოებრივ განმანათლებელი ძმობა, რომლის მიზანს შეადგენს სწორედ ამ წიგნაკების გამოცემა და გავრცელება; შემოსავალიც სავსებით ძმობას ეკუთვნის და არა ს. შველიძის ჯიბას. რაც შეეხება გაზეთის შემოსავალს, ჩვენ კმაყოფილი ვიქნებოდით, რომ მას აწყობისა და დაბეჭდვის ხარჯი გაესტუმრებია. დღესაც სიამოვნებით დაუთმობთ მის გამოცემას, ვიზედაც სამღვდლოება მიგვითითებს და მილიონები რომ შემოუვიდეს, ხელს არ ვუხლებთ, ოღონდ გაზეთმა იარსებოს და ხალხში სარწმუნოების სპეტაკი ნათელი ჰქონოს, ქრისტეს სახარების სიტყვები სთესოს.

არაფერს უბასუხებთ ბ. დეკანოზს იმ დემონიურ ხარხარზე, რომელსაც იგი აბამს სტამბის უკანვე წაღების შესახებ. იცის დეკანოზმა ასეთი ხარხარი, რაც ცხადათ მოწმობს მისი სულის სიმდიდრეს და საზოგადო საქმიანობისადმი გულ-შემატკივრობას.

ღღვნიშნავთ ერთ ფრიად შესანიშნავ ამბავს, სახელდობრ იმას, რომ დეკ. ღამბაშიძე

სცემს თურმე წიგნებს, ღებულობს სხვისაგანაც, მუქთად არიგებს, მაგრამ „ხშირათ წიგნების მიმღებთ ვერ ჰპოვებს.“ პირველი შეხედვით გასაკვირვალა ეს საქმე, მაგრამ არ გაგიკვირდებათ, თუ წიგნებს ნახავთ და ამავე „მწყემსის“ მე 15 გვერდს გადაათვალიერებთ. იქ ნახავთ რა ჯურის წიგნაკებს არიგებს(?) მ. დეკანოზი და ხელს არაფერს უკიდებს.

რადგან მ. დეკანოზის „მწყემსი“ არც ისე გავრცელებული გაზეთია, რომ ყველა ჩვენ მკითხველებს თვალწინ ედვას, ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია ამ მე 15 გვერდის შინაარსი აქვე გადმოვებულოთ. ეს მით უფრო საინტერესოა, რომ როგორც ეტყობა მ. დეკანოზს განძრახ მოუთავსებთა ეს განცხადება: აი ნახეთ, როგორ წიგნებს ვავრცელებთ და ხელს არაფერს გვიკიდებსო. და აბა რა წიგნაკები უნდა გამოცეს მ. სიმონ შველიძემ ამის შემდეგო: აი განცხადებაც:

**ისყიდებიან** (შენიშნეთ „ისყიდებიან“ და არა მუქთად „ურიგდებიან!“) **დეკანოზი დავით ღამბაშიძისაგან შედგენილი და გამოცემული წიგნები:**

**1. საეკლესიო და ღვთის-მსახურების წიგნები.**

1. ლოცვანი ყლით 25 კ. და უყლოთ 20 კ.
2. წესი სნეულის ზიარებისა და ვრცელი პინაშვიდისა, ფასი 10 კ.
3. ცოცხალთა და გარდაცვალებულთა მოსახსენებელი კონდაკი (კარგის ყლით) ფ. 20 კ.
4. კონდაკი იოანე ოქროპირის წირვისა უყლოთ 30 კ., კარგი ყლით 50 კ.
5. შემოკლებული ლოცვანი ანბანით და თორმეტი საუფლო ღვთის ტობარ-კონდაკებით ფ. 5 კ.
6. საქართველოს ეკლესიის წმიდანები რუს. 5 კ.

**2. სასწავლო და სახელმძღვანელო წიგნები.**

1. დარიგება საღმთო სჯულის სწავლებაზე; პირველი ნაწილი უყლოთ 25 კ. ყლით 30 კ. მეორე ნაწილი უყლოთ 25 კ. ყლით 30 კ. ორივე ნაწილი ერთად ყლით 60 კ.
2. დაწყებითი გაკვეთილები საღმთო სჯულის სწავლებაზე, ფ. 15 — 3. ახალი სასულიერო



კონსისტორიათა წესდებულება—ფ. 30— 5. მღვდელთათვის საიდუმლოების შესრულების დროს საკირო სახელმძღვანელო წიგნი—ფ. ყლით 20—

**3. სამკურნალო წიგნები და დარიგება ჯანმრთელობის დაცვაზე.**

1. ახალი კარაბადინი, მეორე გამოცემა დამატებით, რომელიც განხილული, მოწონებული და ნებ-დართულია კავკასიის საექიმო რჩევისაგან, ყლით ფ. 1 მ. უყდოთ 60— 2. დარიგება მხედველობის დაცვისა და თვალეზის მოვლაზე, ფ. 10— 3. ჯანმრთელობა და ავადმყოფობა, ექიმის საუბარი ფ. 5—

**4. შესანიშნავი მონასტრები და ეკლესიები და ამ მონასტრების აღმაშენებელთა ცხოვრების აღწერილობანი.**

1. მცხეთის ტაძარი და წმიდა ნინო, ქართ. განმანათლებელი, ფ. 15— 2. გელათის მონასტერი და ცხოვრების აღწერილობა მეფის დავით აღმაშენებ. 15— იგივე რუსულ ენაზე 20— 3. შიო მღვიმის მონასტერი და ცხოვრების აღწერა ღირსისა მამისა ჩვენისა შიოსი ფ. 5— 4. მთავარ-მოწ. დავით და კონსტანტინე და მოწამეთის მონასტერი. ფ. 5— იგივე რუსულ ენაზე ფ. 10 კ. 5. ვარძიის მონასტერი, ფ. 5— 6. მარტვილის მონასტერი ფ. 2—

**5. საუფლო და ღვთის-მშობლის დღესასწაულების აღწერა ზნეობრივ სწავლა-დარიგებით.**

1. ღვთის-მშობლის დაბადება, სურათით 2— 2. ტაძრად მიყვანება ღვთის-მშობლისა, ფ. 2— 3. ამალღება პატიოსნისა და ცხოველს-მყოფელისა ჯვარისა, სურათით ფ. 2— 4. შობა უფლისა ფ. 2— 5. მიჩქმა უფლისა, სურათით. ფ. 2— 6. ხარება ყოვლად წმიდა ღვთის-მშობლისა ფ. 2— 7. ბზობა სურათით ფ. 2 კ. 8. აღდგომა სურათით ფ. 2— 9. მიძინება ყოვლად წმ. ღვთის-მშობლისა, ფ. 2— 10. ხელთუქნელი ხატის ისტორია ფ. 3 კ..

როგორც დინახავს მკითხველი, პირველი ოთხი განყოფილების წიგნები არაფერი სხანლობა და რომ ხელს არ კიდებენ, ვასაკ-

ვირვალი არ არის; რაც შეეხება მესხეთე განყოფილებას, არც ის წარმოადგენს საინტერესო საკითხ წიგნებს, რადგან მათი შინაარსი ყველა წერა-კითხვის მკოდნეთათვის საკმაოდ ცნობილია, მაგრამ ტყუილა ნაჩუქარს მაინც არავინ დაიწუნებს, რადგან „ნაჩუქარ ცხენს კბილებს არ უსინჯვენ“.

მაშ ტყუილია მამა დეკანოზის გოდება, ვითომ მუქთად დასარიგებელ წიგნაკებს ხელს არავინ კიდებდეს. ყ-დ სამღვდლო ლეონიდემ წმ. ნინოს დღესასწაულზე ფურცლები დაბეჭდა, რომლებიც სიამოვნებით დაიტაცეს მლოცველებმა, ძმობამ სააღდგომოთ მუქთად დასარიგებელი 5000 ცალი წიგნაკი გამოსცა სათაურით „ქრისტე ასლდგა!“ და დღეს ერთი ცალიც აღარ მოეპოება. თუ თქვენ ვერ უშოვეთ ბაზარი მუქთად დასარიგებელ წიგნებს, ბ. დეკანოზო, ჩვენ გვაბოძეთ და ვუშოვნით მუშტარს; მაგრამ უნდა თავიდანვე მოგახსენოთ, რომ თქვენი გამოცემების (ზოგიერთის მაინც) გავრცელება ხალხში ყოვლად შეუძლებელია და უსარგებლოც, მაგ. „წესი სწეულის ზიარებისა,“ სხვა და სხვა კონდაკები, კარაბადინები და სხვა ამისთანები. თუ გული გაწვევსთ კეთილ საქმეს და ხალხში საკითხავ წიგნების გავრცელება გსურთ, დაანებეთ ძმობას ასეთ წიგნების აღრჩევა და ბეჭდვა, ხოლო თქვენ მ. დეკანოზო, ფულით დაგხმარეთ ამ წიგნების გამოსაცემათ, შეწირულება შეუკრიბეთ, წევრები უშოვნეთ, თვით თქვენც წევრათ გაუხდით. მაგრამ ვაი რომ თქვენ ვერ შესძლებთ ამას, იმიტომ რომ ჩვეული არ ბრძანდებით.....

რედ.



**წაღმა-უკუღმა.**

გაგრძელება<sup>1)</sup>

ამ ფიქრებით იორდანემ კარგა გზა გაიარა, მაგრამ თავის სოფლამდე უფრო მეტი

<sup>1)</sup> ის. „შინ საქ.“ № 29.



დარჩენილი გასაღვლელო; მიუხედავად ამისა, მზე უკვე გამოშვებულა დედა-მიწას და მისი მკრთალი სხეულები, რომელსაც სამეგრელოში „მკედის მზეს“ ეძახიან, მთების ფერდობებზე მიპკავავდა აღმართ აღმართ. როცა იორდანემ გარემოიხედა, არ ესიამოვნა უცნობ ადგილას შემოღობება. „ბოვშობა მომერია, რა მომსდევდა? დილას გადავსულიყავი და აღრე სახშირევიდოდი; დღის სინათლით ხონამდი ჩოუსწრებლი მეგონა, მაგრამ მაქამდი ჯერ კიდევ კაი გზაა; სადმე უნდა გავათიო ღამე, შეტი გზა არ არის,“ სთქვა მან თითქმის გასაგონად და ვაუნქარა ცხენს. ცოტა კიდევ და, როცა სიბნელემ სინათლეს სძლია, ერთს ოჯახს მიაღვია. დიდი თხოვნა არ დასჭირვებია იორდანეს ოჯახში მძღობის შესახებ, მასპინძლის ბიჭმა, რომელიც ქისკრებს კეტავდა, როცა იორდანე დაუახლოვდა მას, უცებ გამოუთხოვა ნება და სტუმარი მიიწვიეს სახლში. მასპინძელი მღვდელი აღმოჩნდა, რომელიც ნაცნობივით მიესალმა სტუმარს და მიიპატიჟა; სტუმარმა მოდიში მოიხადა შეწუბებისათვის, მაგრამ მღვდელმა სიტყვის გაგრძელება არ დააგალა: „არაფერია შეილო, რას მებოდიშები! ღმერთი თუ რამე კეთილს შემადლებებს, ეს საბოდიშო არ არის; მე გზის პირას ვსახლობვარ, ვისაც აქ შემოადამდება, ის ჩემთან ბოდიშს არ იხდის; რაც გვაქვს იმითი მზიარულათ გაგმსპინძლებით, დაბრძანდით და მოისვენეთ, როგორც საკუთარ ოჯახშიო,“ უთხრა სიამოვნებით მღვდელმა და სტუმარმაც შეასრულა მასპინძლის სურვილი. მღვდელმა გაიგო, თუ ვინ იყო იორდანე, საიდან მოდიოდა და სად მიდროდა და ხანამ იმის შესახებ დაწვრილებითი ცნობებს შეიტყობდა, თავისი თავგადასავალის მოთხოვრებას მოჰყვა. იორდანე მთლად სმენად გარდაქცეულიყო და რამდენად სტუმარი ყურადღებას აქცევდა მასპინძელს, იმდენად მასპინძელი აწვრილმანებდა თავის თავგადასავალს ეტყობოდა, რომ მოხუც მღვდელს ლაპარაკის იშტა მეტის-მეტად ჰქონდა აღძრულური, რის გამო სტუმარს ის ხშირად ნატრულობდა კიდევ და თუ ვინმე ჩაუარდებოდა ხელში, არც ისე ადვილად განთავისუფლდებოდა მოძღვრის გრძელი მოთხოვნისაგან. სამაგიეროდ ის მეტის-მეტად პატიოსანი და უმზაკერო ადამიანი იყო მღვდელი მოჰყვა მისი უდროოდ დაობლების ამბავს, მერე როგორ აიჩინა დედა მისმა ვიდაც სიბრძნის მონასტრის ბერი და მთაბარა მას, სადაც ემზადებოდა ის

თუთხმეტოდე წელიწადი, როგორ სწავლობდა, როგორ იტანჯებოდა, როგორ ეკურთხა და სხვ. და სხ. ერთის სიტყვით, თითქმისსრულიად უმნიშვნელო მოვლენაც კი უამბო, უფრო ზრდილობისა გამო, სმენად გარდაქცეულ იორდანეს. ეტყობოდა, რომ მღვდელი ხშირად ამბობდა თავის თავგადასავალს, რის გამო ის „მამაო ჩვენო“-სავით გაეზვიებოდა და ძალიან დაღაგებოდაც ამბობდა ამ საზოგადო ინტერეს—მოკლებულ მოთხოვრებას. „ახლა კი მყავს ცოლი და ორი შვილი ქალ-ვაჟი, ქალი შინ მყავს და აწუ გასათხოვარიცაა და ვაჟი ქუთაისის სასწავლებელში იზრდება.“ დაასვენა დაბოლოს მღვდელმა ამის შემდეგ მასპინძელმა სტუმარს მოსთხოვა, რომ იმასაც ეამბნა მისი თავგადასავალი.

იორდანემ ყოყმანისა და მოფიქრების შემდეგ შეასრულა მღვდლის სურვილი და სულ რაღაც ათი—თუთხმეტო სატყვივით გაათავა თავისი მოთხოვნა. ამასობაში დაგვიანებული ვახშამიც მზად იყო და სწორედ ვახშამის დროს გააცნო მღვდელმა სტუმარს თავისი ცოლ-შვილი.

იორდანეს, პირველი გაცნობისათანავე, ძალიან მოეწონა მღვდლის ქალი-შვილი და ქალი-შვილს კი, რომელსაც ვახშამობისასაც რამოდენჯერმე შემოეკვირტა კარებში და დაჰკვირებოდა სტუმარს, პირველი დანახვისთანავე მოსწონებოდა იორდანე და ეთქვა გულში: „თუ ეს ყმაწვილი უცოლოა, ღმერთო ჩემი ბედისა ჰქენიო.“ ვახშამს ოთხი ადამიანი მიირთმევდა: მღვდელი ცოლ-შვილით და სტუმარი და თითოეული მათგანი მაგიდის თითოეულ კედაროს დამჯდარიყო, მხოლოდ რაღაც შემთხვევით, მღვდლის ქალი-შვილს, რომელსაც ქრისტიანს უწოდებდნენ და იორდანეს ერთი-მეორის პირ და პირ შეხვედროდათ დაჯდომა. ახალ-გაზნა ადამიანები ერთმანეთის სიახლოვით რაღაცას გრძნობდნენ, რომლის მზგავსი ჯერ არც ერთ მათგანს არ ეგრძნო. ეს იყო უჩვეულო და მათს ცხოვრებაში პირველად მოვლენილი გრძნობა. მათ ორივეს სახე გაბრწყინვებოდათ და თვალები ვარსკვლავივით უკომკიმობდათ და ერთი—მეორის შეუშინველად ჰსურდათ დამტკბარიყვნენ ერთმანეთის მზერით, მაგრამ საქმე ის იყო, რომ ვერც ერთი მათგანი ვერ ასწრებდა ჩახედვას. რა ერთი გააქანებდა მხედველობას მეორისაკენ, წამსვე მეორეც მზად იყო ეშხით სავსე თვალელები მიეპყრო მოპირდაპირისთვის, რაც ორივეს



მხრით ერთბაშად ძირსავე ეშვებოდა... დიან მორცხვობდა ორივე, მაგრამ ამ გამოუტყდელმა აღამიანებმა ცი, გარეშე ყოველგვარი ხელოვნობისა, ბუნების კანონით აგრძნობინეს ერთი-მეორეს თავიანთი გულის ნადები. ქრისტიანმა იგრძნო, რომ მითი მოიხიბლა იორდანე და იორდანეც ამავე აზრისა იყო ქრისტიანს შესახებ. დაწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ ამ წამში ერთ მათგანს რამე ხიფათი შიშვროდა, მეორე განუკითხველად თავს შესწირავდა პირველს... მათ ორივეს სურდათ, რომ ვახშიში დიდხანს გაგრძელებულიყო, მაგრამ ნათქვამია: „მაძღარ მღვდელს, დიაკონიც მაძღარი ეგონაო;“ როცა მღვდელი დაკმაყოფილდა, ადგა და ვახშიის შემდგომი ლოცვა სთქვა, რითაც ვახშიმაც დაბოლოვდა. მღვდელს მოწყენა ეტყობოდა, თუმცა ის სრულიად არ აყო მოწყენილი. მას უზომო მხიარულება მაშინ გამოეხატებოდა სახეზე, როცა თავის თავგადასავალს ამბობდა და რომ კიდევ დაევალებიათ მისთვის მისი მოთხრობის თქმა, ის ხელმეორედაც დიდის ხალისით მოჰყვებოდა ამ გრძელ ისტორიას. არც მას და არც მის მეუღლეს არავითარი შენიშვნა არ აღძვრიათ იმის შესახებ, რაც მოხდა ვახშიმზე, მათ თვალის წინ. ვახში ის შემდეგ ცოტა ხანს კიდევ ილაპარაკეს და შემდეგ იორდანეს აჩვენეს საწოლი.

იორდანემ მოისვენა, უკეთ რომ ესთქვათ დაწვა და მოსვენებისა კი რა მოგახსენოთ! პირიქით მთელ მას სიცოცხლეში ასეთი ღამე მისთვის პარველი იყო. მისი გული ჰღელავდა, ტოკავდა და უმაგალითო—რამ სულიერ მოძრაობას მოეცვა მთელი მისი არსება... მართალია, ქრისტიანა მაინცა და მაინც არ იყო ღამაში, მაგრამ იორდანე მაინც ისე მოიხიბლა მისით, რომ ის მზად იყო მისთვის თავი შეეწირა. იორდანემ თვითონ არ იცოდა, რა მოეწონა ქრისტიანს: ჩინებული ტანის მოყვანილობა, რაც ყველაზე უკეთესი ჰქონდა მას, თუ შავგრემანი პირის სახე, ანუ ის უმზაკვრო, სრულიად სადა და იშვიათი სულის მდგომარეობის გამოხატველი სახის მოყვანილობა, რითაც ის ქალაქელ კოპშია ქალღმთვანს, სულ უბრალო ქალად დაფასდებოდა? ამის გამოკვლევა მან ვერ შესძლო, მაგრამ ეს კი ნამდვილი იყო, რომ ის მთელის არსებით დანებდა ქრისტიანზე ოცნებას. მას ქრისტიანად ცნობდა, რომ მოვლენილად ჩაეხატა გულში და, წარმოადგენის წყალობით, ამ ხნელ ოთახშიც

თითქო ისე უყურებდა მას, როგორც დღის სინათლეზე. ერთის სიტყვით, იორდანე ყმაწვილურმა მღვდელმადამ შეიპყრო და მთელი ის დამე ოცნებაში გაატარა... არც ქრისტიანს დაუძინია იმ ღამეს. მასაც ჯერ არავინ მოსწონებოდა და არც სიყვარულის აღი ვაჰკარებოდა მის გულს; ისიც თითქმის ერთბაშათ შეეპყრო უეცარ სიყვარულს, თუმცა ჯერ კიდევ გამორკვეული არ ჰქონდა, ვინ უყვარდა, ან რა იყო მიზეზი ამ მოულოდნელი სიყვარულისა. განსხვავება არ შეიძლებოდა, ამ ორში, რომელი ერთი უფრო შეეპყრო სიყვარულის აღს; მაგრამ ეს კი იყო, რომ ქრისტიანა, ერთის მხრით, უფრო იტანჯებოდა, ვიდრე იორდანე. მართალია, ის უტყუვრად გრძნობდა, რომ ნაცვლად თავისი უმზაკვრო სიყვარულისა, მან საყვარელსაც ასეთივე სიყვარული მოსტაცა, მაგრამ მაინც გაუფელვებდა ხშირად ეჭვი გულში იმის შესახებ, რომ ჯერ კიდევ არ იცოდა ცოლიანი იყო იორდანე თუ უცოლო... „ღმერთო! თუ ჩემთვის ქმარ-შვილი გნებვა, ამ შემთხვევას ნუ შემეშლიო,“ ხშირად იმეორებდა ლოგინში სიყვარულით აღზნებული ქრისტიანა... გათენდა დილა. შემთხვევით შეყვარებულთა საწადელიც ეს იყო. კიდევ რამდენიმე წამი და ისინი ხელმეორედ ნახავდნ ერთი-მეორეს. იორდანეს წარმოდგენილი ჰქონდა, რომ მღვდელი დაიგვიანებდა ლოგინში, რაც მის მისწრაფებას წინ ეღობებოდა და აბა რა იცოდა, რომ მღვდელი დილით ადგომაში მერცხალსაც უსწრებდა. რაწამს მღვდელი ადგა, იორდანეც წამოდგა, თან ქრისტიანაც. მღვდელმა საჩქაროთ ხელპირი დაიბანა და ლოცვას შეუდგა; დიასახლისი ჯერ კიდევ იწვა და შეყვარებულთ შემთხვევა ხელს უწყობდა, რომ კიდევ დამტკბარიყვნენ ერთმანეთის მზერით. მათ ორივეს მსურდათ გულ ახილი სიყვარული გამოეცხადებიათ ერთი-მეორისათვის, მაგრამ ამას გაბედულობა სჭიროდა, რასაც ვერ ახერხებდნ ამგვარ ახსნას უჩვეულო აღამიანები. ქრისტიანს უმთავრესი საწადელი ის იყო, რომ გაეგო ტყუვდებოდა ის სიყვარულში აუ არა. ამ ამ აზრით მან გაბედა, როცა შემთხვევამ ხელი შეუწყო და ჰკითხა იორდანეს: „თქვენ ცოლ-შვილი სოფელში გყავთ, თუ ქუთაისში?“ „მე ცოლ-შვილი სრულიად არ მყავს,“ მტკიცედ მიუგო ათრთოლვების ხმით გაწითლებულმა იორდანემ. თუმცა ამ სიტყვებით მოტყუებაც შეიძლებოდა, მაგრამ იორ-



დანემ ეს სიტყვები ისეთი სიმტკიცით სთქვა, რომ ქრისტიანს ყოველგვარი ეჭვები განუქარდა. ის მაშინვე შეტრიალდა და დიდი ლოდინი ჩამოეშვა მისი გულიდან. როცა მღვდელი ლოცვას მორჩა, იორდანეც გასამგზავრებლად მზად იყო. მან მოწიწებით მადლობა გამოუცხადა მღვდელს პატივისცემისთვის და თან ერთი ბოთლი სასმელიც მისთავაზა საჩუქრად, რომელიც წინდაწინვე ამოვლო ხურჯინიდან. მღვდელმა სასყიდელი არ მიიღო, მაგრამ შეატყო, რომ ეს სტუმარს ეწყინა და მადლობით ჩამოართვა. „მე ერთი სათხოვარი მაქვს, მამო, თქვენთან: — უთხრა დაბოლოს იორდანემ მღვდელს, — აღდგომის ხუთშაბათს ჩვენ დღეობა ვიცით და გთხოვთ მცეთ პატივი და იმ დღეს მთელის ოჯახობით დამეპატიეთ“. ამ წინადადებით ქრისტინე, რომელიც ახლო იდგა, აღტაცებას მიეცა.

— რა საჭიროა, შვილო, თქვენი შეწუხება; მე ისეთაც მადლობელი ვარ, რომ წუხელ შემიქციეთ; თუ შემთხვევამ მოგცეს, კიდევ გამოიარეთ, მოხარული ვიქნები თქვენის სტუმრობით.

— გმადლობთ, მამო, პურ-მარილისთვის, მაგრამ განმეორებით გთხოვთ პატივი მცეთ და ვარი არ მიყოთ... ღმერთმან კეთილი ქნას ჩვენი გაცნობა; გთხოვთ შეძლების და გვარად მეც პატივი მაცემიოთ. მანამდი თქვენი ვაყიცი ჩამოვა, ისიც გამაცანით; თქვენ შვილს სხვისი შესაწიფი არაფელი გოუჭირდება ღვთით, მაგრამ თუ რამე დაჭირდა, მზად ვიქნები პატივი ვცე.

უკანასკნელი სიტყვები უფრო დაუჯდა კუთაში მღვდელს და სიამოვნებით ჩაიღიმა.

— წადი, მამო, სიმონა წაიყვანე და წადი, თუ შორს არ არის, — უთხრა მამას ქრისტინამ.

— გთხოვთ თქვენც და თქვენი დედაც წამობრძანდეს; შორს არაა და გზაც კაია, — უთხრა სიყვარულის გრძნობით იორდანემ ქრისტინას.

— მე? — რა ვიცი. — სთქვა სიწითლე მორეულმა ქრისტინამ და მორცხვად დახარა თავი.

— კაი, შვილო, რადგან ასეთი წადილი გქონია, ჩვენ სამი მოვალთ და დიასახლისი ხომ ოჯახს ვერ მოშორდება.

როგორც ქრისტინე, ისე იორდანეც აღტაცებაში მოიყვანა ამ აღთქმამ და იორდანეც გამოემშვიდობა მხიარულ მასპინძელს დიდად

დაიმედებული, რომ დანიშნულ დღეს მისი საყვარელი ქრისტინა თავის სახლში ეყოლებოდა გახარებულ იორდანეს.

**კ. წუთისოფლელი.**

(შემდეგი იქნება).



**არ შეზენის მოწაფეებს!**

ვინც კი ცოტათ მინც თვალს ადევნებს ქუთაისის მოწაფეთა ყოფაცქევას სხვა და სხვა ალაგებზედ, ის უეჭველია დამეთანხმება, რომ ხსენებული ქალაქის მოწაფეები (თითქმის უმრავლესობა) ვერ ამტკიცებენ იმას, რაც შეშვენის მე XX საუკუნის შვილებს.

ჩვენ, ვარდებით გზას უფენთ იმათ, რომლებიც-კი სასარგებლოთ იქცევიან არა მარტო თავიანთ პიროვნებისათვის არამედ მთელი კაცობრიობისათვის; მხოლოთ გაბედვით და სამწუხაროთ მოვიხსენიებთ იმას, რასაც უცქერენ ჩვენივე თვალები.

ნუ თუ ასე შეიგნო ზოგიერთმა მოწაფეებმა თავისუფლება? ნუ თუ ეს მართებთ დღეს მათ როცა საგანგებოთ უნდა ამტკიცებდნ თავიანთ სიმწიფეს და შეგნებას?

მოსასხამის და ქულის გვერდზე გადაგდება, ზურნაზედ ქეიფი და არიალალოს ძახილი, ხელ-ჩართული (ცეპით), ბალის ახლო უნაყოფოთ ტროტუარების ტკეპნა, თეატრთან ალიაქოთის ატეხვა, მასშივე (თეატრში) უწესრიგობა და სხვა ათასი ასეთი უკულტუროთვისებები არ შეშვენის მოწაფეებს.


არა ბატონებო! სასირცხვოა ის, რომ 20—21 წლის მოწაფეებმა ქუჩებში იოხუნჯონ და ისეც იმათმა, რომლებიც დღეს-დღეობით მაგალითის მაჩვენებლები უნდა იყვნენ მტირეწლოვან მოწაფეების.



მართალია მოწაფეები ახალგაზრდები არიან, სიციცხლით და ენერჯით აღსავსე, მაგრამ ეს ხომ იმას არ ნიშნავს, ქუჩებში „დუელი“ გამართონ და ერთმანეთს ცხვირპირი ამტვირონ!

დროა მოწაფეებმა გაიგონ თუ მათი მშობლები რისთვის იძრობენ ტყავს, დროა გაიგონ და ერთი მეორის ქმურათ ხელის გაწვდენით ეძიონ ისეთი გზა რომელიც მათ ცხოვრების სარკეს დაანახებთ და მათ ნამდვილ მომავალს დაუხატავს წინ.

დათიკო ლოლობერიძე.



რედაქციაში, მუდელი სიმონ მჭედლიძე.  
გამომცემელი იოსებ ლეუვა.

## განცხადებანი

შინაური საქმიანობის რედაქციაში იყიდება შემდეგი

### წიგნაკები

1. ქრისტიანობა ბებელის ლაბორატორ. 10 კ.
2. ქრისტე ლმერთია? . . . . . 10 კ.
3. სიკვდილი მართლისა . . . . . 5 კ.
4. წყარო ურწმუნოებისა . . . . . 2 კ.
5. პატარა ქრისტიანი . . . . . 2 კ.
6. ათეიზმი და მისი გავლენა ცხოვრებასა და მეცნიერებაზე 10 კ.

## ვამუხადებ

სამღებულო და სადიაკვნო

საგნაუზი,

აგრეთვე



## სამასწავლებლო

ეგზემენის ასაღებად.

ადრესი: ქუთაისი, ვაზაკოვის ქუჩა, № 17.

„შინ. საქმიანობის“

რედაქციაში იყიდება:

კლიროვის უწყებები ახალი ფორმისა და ყველა უწყებები (Вѣдомости) წლიური საბლანკოჩინო ანგარიშისათვის. ბლანკები ძმობის გამოცემა და ფულიც მას ეკუთვნის. ფასი ბლანკებისა წყვილი 5 კ. ვინც ორასზე მეტს დაიბარებს—წყვილი 4 კ. ხვედრი ფული უნდა გამოიგზავნოს ამ ადრესით:

Кутаисъ Правленіе религиозно-просвѣтительнаго братства.

Ольденбургская д. № 5

